

აკა მორჩილაძე



აჩასამეხნიარო ჩანაწერიები ქველი დროების შესახებ



Kingdom of the Netherlands



**CIVIL COUNCIL
ON DEFENSE AND SECURITY**
Tbilisi, Georgia

პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში
ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ
პროექტი განახორციელა სამოქალაქო საბჭომ
თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში
ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ

სარედაქციო ჯგუფი:
შორენა ლორთქიფანიძე
თათა მახათაძე
თაია წიკლაური
დიზაინერი: შია არაბული

ესეში გამოხატული მოსაზრებები
ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება
არ ემთხვეოდეს ნიდერლანდების საელჩოს და
თავდაცვის და უსაფრთხოების სამოქალაქო
საბჭოს პოზიციას

2021 წლის მარტი, თბილისი

სარჩევი



შესავალი

2



სული

5



რაინდი

9



ციხე და ტყვე

15



დასჯა და მკვლელობა

19



მეტი

22



ალაფობა

25



რუღული

28



აეშავი და ტერმინის სიცოცხლე

32




შესავალი აკა მორჩილაძის ესესთვის

2019 წლის სექტემბრიდან, მას შემდეგ, რაც ნიდერლანდების საელჩომ ჩვენი პროექტი - „მრავალფეროვნება, ინკლუზია და გენდერული თანასწორობა უსაფრთხოების და თავდაცვის ინსტიტუტებში“ - დააფინანსა, საოცარი მოგზაურობა დაიწყო სამოქალაქო საბჭოსთვის, მოგზაურობა მრავალფეროვნების სამყაროში, ახალი ტერმინების, კონცეფციების და მათი შინაარსის აღმოჩენის ბედნიერებას კიდევ უფრო აძლიერებდა ჩვენი შეკრული, გამოცდილი და შესანიშნავი გუნდი, ადამიანები, რომლებიც 20 წელზე მეტია საქართველოში დემოკრატიული ცვლილებებისთვის შრომობენ.

მოკლედ, დავიწყეთ, ჯერ სიტყვა უმცირესობა ამოვავდეთ ჩვენი ლექსიკონიდან; მერე სესილია ვან პესკიმ (ექსპერტი, სამხედრო ნიდერლანდებიდან) გვამოგზაურა მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის ნიდერლანდურ სამყაროში, სადაც ყველა განსხვავებულს თავისი პატივსაცემი და ღირსეული ადგილი აქვს და თავს რეალიზებულად გრძნობს. უფრო მეტად გავიცანით თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მამაცი თანამშრომლები, რომლებიც ცდილობენ ინკლუზიური გარემო შექმნან ამ უწყებებში, დაინახონ და სხვებსაც აუხსნან კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი. მერე იყო ყველაზე სახალისო და საინტერესო გზა, მთელი საქართველოს ახალგაზრდები და მათ მიერ შექმნილი მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის სურათი, მათი პროექტები, ინტერვიუები, მათივე აღმოჩენები. დაიწერა საინტერესო სტატიები, ვიპოვეთ ახალი პერსონაჟები, ჩვენს არქივს დაემატა ახალი გამოცდილებები. ამ პროცესში ჩაერთო მუსიკოსი, რომელმაც მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის თემატიკაზე შექმნა საუცხოო მუსიკა ჩვენი ვიდეოებისთვის, მერე ვიმუშავეთ არაჩვეულებრივ მხატვართან, რომელმაც საოცრად ფერადი პოსტერები შექმნა უსაფრთხოების ინსტიტუტებში მრავალფეროვნების, ინკლუზიისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ. ჩვენი გზა თითქოს დაუსრულებელია, სულ გვინდა რაღაც ვაკეთოთ, რადგან უშრეტია ინსპირაციის წყარო - პროექტის მონაწილე ადამიანები, ახალგაზრდები .

მაგრამ კიდევ რაღაც გვინდოდა, რაღაც, რაც კიდევ უფრო უკეთ გვაგრძნობინებდა, რომ საყრდენი გვაქვს, რომ ჩვენი ღირებულებები მხოლოდ შეთვისებული დასავლური ფასეულობები კი არ არის, ჩვენ ამ ცივილიზაციის ნაწილი ვიყავით და ვართ, და მთავარი კითხვა დავსვით, როგორ მოვედით დღემდე, როგორი იყო ჩვენი წარსული იმ გმირული ისტორიების მიღმა, რასაც სკოლაში ან უნივერსიტეტებში გვასწავლიან .

პატარა საქართველო სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი, ათასწლოვანი გამოცდილებით როგორ გადარჩა, როგორ მოვიდა დღემდე იმ მტრულ გარემოში ქვეყნის



შიგნით და გარე მტრების ანაბარა . ბნელ საუკუნეებში, მუდმივ ომებში, სიღარიბეში, შიშში, რამ გააძლიერებინა ჩვენს წინაპრებს, ადამიანებს, რომლებიც ამ მიწებზე ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ სიცოცხლისთვის.

და სულ ვფიქრობდით, აი ეს გვინდა, მეტი საყრდენი და საფუძველი ჩვენი პროექტისთვის, ჩვენი დღევანდელითვის, ჩვენი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც თვალებში გიყურებენ და ელოდებიან შენგან იმედს და მხარდაჭერას.

ამასწინათ, აკა მორჩილაძის „ფარშევანგს“ ვკითხულობდი, და იქაურმა ამბებმა ბევრი ფიქრი აღმიძრა, მათ შორის, გაკრულად დაწერილი ერთი ეპიზოდის გამო, ქართველი ქალები ჩვენი ისტორიის და მათიანეს მცველნი, წიგნების მცველნი (წარსულში ნაპოვნი იმედის ნაპერწკალი) მერე აკა მორჩილაძის რომანში „ძველი გულებისა და ხმლისა“ მე-19 საუკუნის ყოფის ერთმა საინტერესო ასპექტმა მიიპყრო ჩემი ყურადღება ადამიანის კანონთან შეხების დროს ვინ იყო პასუხისმგებელი უსაფრთხოებაზე, კანონის აღსრულებაზე და საერთოდ, როგორ იყო მოგვარებული ეს საკითხები საქართველოში ძველი დროიდან. ამ წიგნში რომ საუცხოოდ არის აღწერილი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობების უცნაური ბედი და სიახლოვე ეს ცალკე ამბავია, არანაკლებ ამაღელვებელი.

მოკლედ, კოლეგებთან ერთად გაჩნდა იდეა აკა მორჩილაძისათვის გვეთხოვა, სწორედ, ამ საფუძვლებზე დაეწერა რამე ისტორიულ-მხატვრულ-დოკუმენტური ამბავი, ამბავი მეფეების დედოფლების, მეომრების, მცველების, მეციხოვნეების შესახებ, თავდაცვასა და ომზე, მშვიდობაზე. ისეთი ამაყები და ბედნიერები ვართ, რომ გვაქვს სრულიად განსაკუთრებული რეფლექსია წარსულზე „არასამეცნიერო ჩანაწერები წარსული დროების „შესახებ,“

ამდენი შესავალი მხოლოდ იმისთვის მინდოდა, რომ ჩვენი მოგზაურობის დაგვირგვინებაა აკა მორჩილაძის ძალიან საინტერესო ესე, რომელიც იმდენ გრძნობას და ფიქრს აღგიძრავთ, ზოგჯერ ცრემლს მოგგვრით, ზოგჯერ გეტკინებათ, თითქოს ხმლის წვერმა დაგისერათ სხეული, უფრო ხშირად კი, სიამაყით აივსებით . კიდევ ერთხელ გაიხსენებთ, რომ გორგასალ, დავითიან, თამარიანი ტყუილად არ არის ეს ქვეყანა. . . და მისი კავშირები და ერთობა ევროპასთან სრულიად ნამდვილი და ბუნებრივია.

მადლობა აკა მორჩილაძეს, რომ აგვყვა ამ მოგზაურობაში და ახლა ისიამოვნეთ მისი დროის მანქანით მრავალფეროვან და მებრძოლ საქართველოში.



სული

ქართული ფეოდალიზმი, ევროპული ფეოდალიზმია: ოღონდ, საუკუნეთა სიგრძით, ჯერ ოღნავ, მერე გვარიანად გადაბერებული. ძლიერი მიზეზი ისიცაა, რომ აქ სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიები ბატონობდნენ და საუკუნეები წაიღო ომებმა და შიდა ამბებმა. ძალა აღმართს ხნავს, ჩვენი ადრიათი პოლიტიკური ტრაგედიაც ეს არის. თუმცა, ხდება ხოლმე, რომ ძალას ბოლომდე ვერ გამოუვა ხოლმე აღმართის ხვანა. აქ, ბოლომდე, არავის გამოუვიდა.


საქართველო, თავისი სოციალურ-პოლიტიკური წყობით საუკუნეთა განმავლობაში არ ჰგავს არც ერთ დიდ, თუ პატარა მეზობელს, თუ დამპყრობელს, არამედ მხოლოდ „შორეულ“ ევროპას.

როგორც ცნობილია, პირველ გოდოლს ყველაზე მეტი ხვდება ხოლმე და მეოთხე გოდოლზე უკვე აღარავინ ფიქრობს, იმაზე, რა მოხდა პირველ გოდოლზე. ჩვენი და ევროპის ისტორიაც ამას ჰგავს.

ჩვენი „განვითარებული ფეოდალიზმი,“ თავისი წყობით, მოქმედებით, სიტყვით, ეგებ არა ტყუპისცალი, მაგრამ ღვიძლი ძმა კია ევროპული ფეოდალიზმის. აშკარაა, რომ საქართველო იყო უაღრესად მოწინავე ქვეყანა მონღოლების შემოსვლამდე და ამ მონღოლთა პრიმიტიული, მაგრამ ძალისმიერი და გასაგები მმართველობის შემდეგ, სამეფო სწრაფადვე აღდგა გიორგი ბრწყინვალეს ხელში და ასე, თუ ისე, თავიც შეიმავრა მის შთამომავალთა მმართველობისას, მაგრამ ტრაგიკულად გადატყდა, როგორც შინაგან მარაგგამოლეული სახელმწიფო, სამყაროს იშვიათი ველურის, თემურლენგის რვა ლაშქრობის შემდეგ. ამ რაგინდარა ენაზე წერა-კითხვის უცოდინარ კაცს, თავისი, სპობაზე დამყარებული გაგება ჰქონდა და ძალიან გაგვამწარა და წაგვახდინა.

ამ უბედურებისა და პარტახის მიდევნებით ნიშანდობლივი ისიც იყო, რომ როგორც ევროპაში მიმდინარეობდა ერთიან სამეფოთა დაშლის ამბები, ისევე, აქაც. როგორღაც, საერთო ამბავი „შორეულ“ და მაინც მსგავს სამყაროსთან, გადაშენებული არ იყო.

თემურის და მას მოდევნებულ შავბატკნიან, თუ თეთრბატკნიან თურქმანთაგან მუსრვა, შინა,



თუნდაც „ევროპულ“ ამბებთან ერთად, ჩვენ, როგორც პირველი გოდოლის სახელმწიფოს, ძვირი დაგვიჭდა. ეს ველარასდროს გამოსწორდა.

იქ გალილეი და კოპერნიკი გამოჩნდნენ, აქ სპარსელი ვარსკვლავთმრიცხველები.

თუმცა, საუკუნობით მიმდინარე ოკუპაციების და გენოციდების (მაშინ გენოციდი არ ერქვა) შემდეგ საქართველოს ქვეყნები, როგორც ძველ ნაწერებში იტყვიან, დაშლილი ერთიანი სამეფოს „საქართველოები“, მაინც ინარჩუნებდნენ სახელმწიფოებრიობის ძველ, ფეოდალურ აგებულებას: რაღაც სურათს, მართვის უნარ-ჩვევებს და სულიერ და კულტურულ ერთობას.

ეს ძველი აგებულება, საუკუნეთა განმავლობაში ტვირთად იქცა, რამაც, საერთაშორისო-პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, გამოიწვია ჩამორჩენა თანადროულ მოწინავე მსოფლიოსთან, მაგრამ ამასთანავე, ამ წყობამ დიდად უზრუნველყო საქართველოს, როგორც მაინც სახელმწიფოს, და ხალხის გადარჩენა.


დაეცა კოსტანტინოპოლი, გაქრა კავშირი და გეოგრაფიამ, როგორც ყოველთვის, მოკლა იმედები.

გეოგრაფიის მოტყუება უკიდურესად ძნელია, მაგრამ დამპყრობლები რომ მათგან დანიშნულ ბაგრატიონ მეფეებს „ვალ“-ებად და „ჯანეშინ“-ებად ნიშნავდნენ და მოიხსენიებდნენ, ეს დანიშნული ხალხი, თვით ხოსრო მირზაც კი, საბუთებს ქართულად, „მეფე“-დ აწერდნენ ხელს.

ცხადია, რა იყო მათთვის მნიშვნელოვანი.

მეფე - ფეოდალური საქართველოს არსია. ის წყობილებასაც ნიშნავს, წყობილება კი, გადამწყვეტია. წყობილება გადამრჩენია.

თვით ისეთი მრავალმხრივი პერსონაჟები, როგორებიც გიორგი სააკაძე და გივი ამილახვარი გახლავან, რომელთაც ერთმანეთისგან საუკუნე აშორებთ და არსით მსგავსი გაქანების კაცები კი არიან, არასდროს ფიქრობენ, რომ მეფენი შეიქნენ: ურჩევნიათ



„ხელქვეითი“ მეფეები ჰყავდეთ, რაც იმასაც გულისხმობს, რომ მათ დაუშვებლად მიაჩნიათ ძველი, ფეოდალური, წმინდა წესის უგულებელყოფა.

ჩვენი ასე განსაკუთრებული ფეოდალიზმი, ზოგიერთი ფორმით, დღესაც ცოცხალია.

მეცნიერთაგან აღიარებული ისეა, რომ ფეოდალიზმი ომზე ორიენტირებული წყობაა. ომზე დიდი, სახელოვანი და მნიშვნელოვანი საერო ცხოვრებაში არაფერია. ომი და მშვიდობა, რომელიც ომისთვის განუწყვეტელ მზადებას გულისხმობს. ომი არის მრავალნაირი, მომიჯნავე ფეოდალთა შორის შფოთიც ომია, დიდი სახელმწიფო პოლიტიკაც.

ცხადია, ამის საფუძველი ეკონომიკაა. გლეხობა აწარმოებს, ჩვენ, კი კეთილშობილნი, ამ გლეხობის პატრონები, ვიბრძვით. გლეხობა, არავინაა: მუშა- უუფლებო ხალხია, რომელიც ყოველდღიურ საზრდელს უზრუნველყოფს ჩვენთვის. „მდაბიონი“, ასე რომ ვთქვათ. ვაჭარნი „ჭაბანნი“ და ესენი „მდაბიონი.“ ანუ, ომის ვერშემძლენი, თავიანთი უნარებიდან გამომდინარე. გვიანდელ საქართველოში, სადაც ის კლასიკური ფეოდალური ლაშქარი საკმარისი არ იყო და საომრად მოსახლეობის ყველა ფენა გადიოდა, მოქალაქენი, ვაჭრები, ხელოსნები საგანგებო ფასსაც იხდიდნენ, იმის სანაცვლოდ, რომ საომრად არ გასულიყვნენ. მაგრამ ეს მერე იყო.


ომის სასახელო შედეგი უმაღლესი დიდებაა კეთილშობილი კაცისთვის.

რახან ეს ომზე აწყობილი საზოგადოებაა, მხედრული საზოგადოება გახლავს. არსი ამ წყობისა, საკუთარი უსაფრთხოებისთვის მუდმივი მზადყოფნა და სხვისი უსაფრთხოების მუდმივი ხელყოფის სურვილია.

მამუკა წურწუმას საუცხოო ნაშრომში შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის შესახებ იშვიათი სიზუსტითაა წარმოდგენილი ქართული ჯარ-ლაშქრის რაობა რვაასი წლის განმავლობაში.

ლაშქრის წყობა კარგად გვიამბობს, როგორ ცხოვრობდა ქვეყანა.

ქართული ლაშქარი ესაა წარჩინებულ კაცთა, მათ ხელქვეით ასევე მცირედ წარჩინებულთა,



ამას მიდევნებით კი, მსახურთა ჯარი.
დავით აღმაშენებლის დროისა ჩვენ ვიცით სპა, მონა სპა, როქის სპა და ასე
შემდეგ. საერთოდ, რაც უფრო დახვეწილია ტერმინოლოგია, უფრო განვითარებულია იმ
დროის საზოგადოება. საქართველოში ყველა ეპოქას თავისი ულევო ტერმინები აქვს.
რით გამოირჩევა საქართველო და ტერმინების სიუხვით. ეს სახელმწიფო, სამეურნეო და
სამხედრო ტერმინებია. ცხოვრების ყველაზე რთულ დროს, ვხედავთ, რომ სახელმწიფო,
თუნდაც სხვის ხელქვეით მყოფი, არსებობს და მოქმედებს.



რაინდი

რაინდი, მოყმე, ჭაბუკი - ეს ისაა, ვინც ყოველთვის მოგვწონდა და მოგვწონს. სულხან-საბას მიხედვით, რაინდი ცხენის გამწვრთნელია. ჭაბუკი - ახალგაზრდა კაცი. მოყმეც, იგივე. ოღონდ, ეს გვიანდელია. ჩვენ კი უფრო დაგვაინტერესებს „უცხო მოყმე ვინმე“ და მისი დროების კაცი, რომელსაც სახელი კი შეეცვალა, თანდათან საჭურველიც გადაუსხვაფერდა და წოდებაც დაუკნინდა, მაგრამ ქცევით საუკუნეებს გადმოსწვდა და ეგებ ვაჟას „კაი ყმადაც“ შეეხმიანა რაღაც მომენტში.


მეცნიერთა გამოკვლევით და ამათ შორის ვერ ავცდებით გულჩინა აკოფაშვილის ნაშრომებს, ეს სამივე სიტყვა საბოლოოდ მაინც ერთია და თუ რაინდი გვიან შეუერთდა მოყმესა და ჭაბუკს და საბოლოოდ კი სიტყვად შეეცვალა კიდევ ისინი, ასე მოხდა და ველარაფერს ვუბამთ. ესენი სამივე ისაა, რაც ფრანგულად Chevalier, ინგლისურად კი, Knight გახლავს.

ეს არის არსი ჩვენი წარსულის დამოკიდებულებისა ღირსებისადმი და ესენია „ვეფხისტყაოსნის“ გმირები.

შუა საუკუნეთა განმავლობაში, გაქანებულ ბატონყმობა-პატრონყმობაში მართო გლეხი იმდენნაირია, იმდენი სახელით და ვიწრო გაგებით მოიხსენიებენ, მიწებს იმდენი სახელი ჰქვია, რომ, ცხადია, აქ ყოველდღიურობა და ნამდვილი ცხოვრება ისაა, რაც ნაწერებში შემოგვრჩა ტერმინებად: დახვეწილი, განვითარებული ურთიერთობები.

რუსთველი გვახსენებს: “ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცად რბიან.” სწორედ „ჭაბუკნი“ და „მოყმენი“ კვდებიან მეფეთათვის, თუმცა რაც უფრო ჩვენსკენ მოახლოვდება ისტორია, „მდაბიონიც“ თავს დებენ.

ესაა სწორედ განვითარებული, ნამდვილი და საუკეთესო ფეოდალიზმის ერთ-ერთი მორალური სხივი. თუმცა, საუკუნეთა განმავლობაში საქართველო ჩარჩა არსებობის ამ არსით უცვლელ ფორმაში მეცხრამეტე საუკუნემდე. ევროპისგან უკვე სრულიად მოშორებული და სწორედ ამ გაგებით, უფრო კულტურულად რომ ითქვას, ამ მსოფლ-აღქმით, მოვიდა ახალ ეპოქამდე, სადაც მას რუსეთი ელოდებოდა, როგორც სამეფოს გამაუქმებელი და მისი გუბერნიად შემსრუტველი უკიდევანო იმპერიის ფარგლებში.




სარგის კაკაბაძე დასამახსოვრებლად წერს: „სიმონ მეფე (მე-16 ს. მეორე ნახევარი) იყო უკანასკნელი წარმომადგენელი რაინდულ საქართველოსი.“ სიმონი კი არ იყო ბოლო: რუსი გენერლის, ტოტლებენის ადიუტანტი, შარლ დე გრაი და ფუა ორი საუკუნის შემდეგ გაოცებული და აღტაცებულია მეფე ერეკლე მეორეს რაინდული, პოლიტიკისა და ურთიერთობებისადმი უკვე გამქრალი, მიდგომებით.

რაინდობა დიადი შუა საუკუნეების ის ამბავია, კეთილშობილთა ქცევებისა და მისწრაფებების მთელი სისტემა, რომელსაც საქართველოში რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ უმაგრებს ზურგს. ფეოდალთა ეს მსოფლადქმა ისტორიულ და გეოგრაფიულ უკუღმართობათა გამო, ჯერ ლამაზად, თუმცა დროსთან და ცხოვრებასთან შეუსაბამოდ, მერე კი, უკვე ახირებულად შემორჩა საქართველოში, როგორც ღირსების უპირველესი რიტუალი იმ დროებაში, როცა ამ გაგების სახსენებელი, ოდესღაც საქართველოს „ტყუპისცალ“ ევროპაში მხოლოდ ხელოვნებაში დარჩა, როგორც „ჯენტლმენის“ წინამორბედი, ჩვენი ქვეყნის სამეზობლოში კი არცა ყოფილა და არც მომავალში მონიშნებოდა.

მწერალი აკაკი ბელიაშვილი, მეოცე საუკუნეში იგონებს ადამიანს, იმერელ აზნაურს, რომელიც გრძელი ფრჩხილების მოვლითაა დაკავებული. გრძელი ფრჩხილები კი ნიშნავს, რომ შენ კეთილშობილი ხარ და ფიზიკურ შრომას არ მისდევ. შეიძლება საჭმელი არ გქონდეს, მაგრამ სჯობს ის შენი კეთილშობილებიდან გამომდინარე მოიპოვო, თუნდაც წაართვა ვინმეს, მაგრამ ხელში არასდროს აიღო სამუშაო იარაღი.

დღევანდელ მსოფლიოში ხშირია ხოლმე ასეთი ამბავი, რომ ძველ ცხოვრებას დღევანდელი ვითარებით დაუწყებენ ხოლმე ახსნას. ჩვენი ფეოდალიზმიც ასეთია. მაგალითად, არსებობს კითხვა: ხომ არ ამეტებდნენ ხოლმე იმ დროის მეომრები უფლებებს, ხომ არ ხოცავდნენ და ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას?

ასეთ შეკითხვებში დროება და კულტურები იშვიათადაა გათვალისწინებული. ადამიანის უფლებების საზოგადოებაში, ძნელი გასაგებია საუკუნეები, სადაც ფენებს სხვადასხვაგვარი უფლებები აქვთ. ჩვენი დროის დემოკრატიული აღქმის მიხედვით, წარსული სრულიად მიუღებელი და სასტიკია სწორედ ამ კუთხით, თორემ სისასტიკე არსად წასულა ადამიანთა




ცხოვრებიდან - დილით ტელეეკრანის წინ საუბრობ და ხედავ მკვლევლობისა და ომის სასტიკ ეპიზოდებს, თუმცა, სრულიად სხვა ფიქრით გარბიხარ მეტროსკენ, რათა სამსახურში არ დაგაგვიანდეს.

თემურ ლენგი რომ მოჭრილი თავებით პირამიდებს აშენებინებდა და ცოცხლად მხოლოდ რაიმე უნარ-ჩვევების და ხელობის ადამიანებს ტოვებდა ტყვედ წასაყვანად, მარტივად პასუხობს ყველანაირ ასეთ შეკითხვას, მაგრამ, მაინც საინტერესოა ხოლმე, გადაამეტებდნენ თუ არა იმდროინდელ უფლებებს ძველი მებრძოლები.

აქ უნდა ვიცოდეთ ჩვენი ფეოდალიზმის ერთ-ერთი სურათი: წარჩინებული ადამიანი ომში მიდის თავისი ხელქვეითი, ხარისხით უფრო მცირე წარჩინებული ხალხის თანხლებით. ცხენი, იარაღი და აღჭურვილობა ყველას თავისი აქვს და ყველას იმ ხარისხისა, რის საშუალებასაც შემოსავალი იძლევა. რკინა და სამოსი უძვირესი რამეებია საუკუნეთა განმავლობაში. რაც უფრო მდიდარია კაცი, უკეთესი საჭურველი აქვს. ამასთანავე, რაც უფრო მეტს იშოვის კაცი ომის დროს, მით უკეთესია მისი იარაღი. პირადი აღკაზმულობა მისი ხარჯია, რადგან იშვა ასეთად, ომის კაცად. ხელქვეითის იარაღი უარესია, ვიდრე ზემდგომისა და ასე დაუსრულებლად. ყველაფერს რომ თავი დაანებო, წარმატებული ბრძოლა, უკეთესი აღჭურვილობისთვის სახსრის მოპოვების საშუალებაა.

ეს ხალხი მიდის ომში და დაცვის უმაღლესი არსი, მეფე და მისი მიწაა. თუმცა, რაც უფრო ქვემდგომია ადამიანი, ზემდგომის დამცველია, ზემდგომი კი უფროდაუფრო უახლოვდება მეფის დაცვას. საბოლოოდ, ყველა მეფის დაცვაა, რასაც რუსთველიც შეგვახსენებს. მონღოლთა დროშებს ქვეშ ერთ-ერთი ბრძოლისას, სადღაც ჰომსთან, სრულიად ახალგაზრდა დემეტრე მეორეს, მომავალში თავდადებულად წოდებულს, ცხენი მოუკლეს და მეფე რომ ფეხოსნად მებრძოლი დაინახეს, ყველა ქართველი ჩამოქვეითდა და ფეხოსნად გააგრძელა ომი მტრის კავალერიასთან, რაც უპირობო სიკვდილია; ხოლო ერთმა, აბაშ სიქანელის ძემ მოახერხა და თავისი ცხენი მისცა ახალგაზრდა მეფეს. ეს აბაში, ფეხოსნად დარჩენილი ცხენოსანთა ომში, განწირული იყო და მოკლეს კიდევ. ამბობენ, ახალგაზრდა მეფემ ბრძოლის შემდეგ მოიკითხა აბაში და პასუხად ტკივილიანი სიტყვები გაიგონა: ბატონო, მან ცხენი მოგცა, ანუ სიცოცხლე მოგცაო. ესაა რაინდობა და უმაღლესად კეთილშობილი სიკვდილი.



იოთამ ზედგინიძე მეფე გიორგი მერვეს საწოლში ჩაწვა მას შემდეგ, რაც მეფე ვერ დაარწმუნა, ამაღამ შეთქმულები შემოიპარებიან და მძინარეს მოგკლავენო. მიიღო მის ნაცვლად ქრილობები. რაინდები ბევრად უბრალო რამისთვისაც დაღუპულან, მაგალითად, იმისთვის, რომ მტრის ადგილიდან მეფისთვის ქორთა მწვანილი მოეტანათ. ასეთი მაგალითი უამრავია.

სახელის განთქმა ჩუბინობით, ანუ ისართა, თოფთა, ქვათა უცდენელად სროლით, ცხენოსნობით, ხმალაობით, შუბის ძგერებით, მოკლედ, ომის დიდი ოსტატობით ხდება, ხოლო ქონებრივი ხეირი, რაც იმ დროის მეომარს შეუძლია ნახოს გამარჯვების შემდეგ, ისაა, რასაც დამარცხებულს აართმევს.


დამარცხებული შეუძლება იყოს ერთი მებრძოლი, ანდა მტრის ჯარის ალალი, ანდა მთელი ქალაქიც, ახლომახლო სოფლები, ან სულაც, გზად შეხვედრილი ცხვრის ფარა, რომელსაც გამარჯვებული გამოირეკავს.

მეტი რომ აღარ ვთქვათ, ფეოდალიზმი - დავლაცაა. აბა, დავთვალთ, რამდენჯერ წამოუღიათ ქართველებს სხვადასხვა ქალაქთა რკინის კარი? გელათის სახურავის საჭედი ლურსმანი, როგორც შემოგვრჩა, განჯის კარის გადადუღებით ჩამოისხა და ისედაც, დღემდე გვაქვს იგივე განჯის კიდევ ერთი კარი, სხვა დროს წამოღებული.

ასეა, რკინა ძვირი მოსაპოვებელია, აქ კი უკვე მზადაა. კვლავ, არაფერი პირადი, უბრალოდ, ფეოდალური ომის არსი არასდროს ყოფილა მხოლოდ პოლიტიკა და გადასაჭრელი საკითხები. ეს გამარჯვებულის უფლებაა და მეტი არაფერი.

იმ დროებაში მსოფლიოში არსად, გამარჯვებული კაცისთვის სირცხვილი არ არის ალაფის წამოღება.

გამარჯვება იმასაც გულისხმობს, რომ ნადავლი წამოიღო. ეს ნადავლი მრავალფეროვანია. საერთოდ, უკეთესი რკინა და ჯაჭვი გაქვს, უკეთესი ვინმე ხარ. ყველა ხედავს. როგორც მოგახსენეთ, ფეოდალიზმის დროს ხდება ხოლმე, რომ ომი მხოლოდ გამოუვალი პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის, არამედ, რაღაც სიმდიდრის მოპოვების საშუალება. ამან, შეიძლება ავნოს კიდევ სამეფოს პოლიტიკურ ურთიერთობებს, მაგრამ არსით ცხადი



როგორც მოგახსენეთ, ფეოდალიზმის დროს ხდება ხოლმე, რომ ომი მხოლოდ გამოუვალი პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის, არამედ, რაღაც სიმდიდრის მოპოვების საშუალება. ამან, შეიძლება ავნოს კიდევ სამეფოს პოლიტიკურ ურთიერთობებს, მაგრამ არსით ცხადი რამ არის. მე რომ მეფე ვარ, ჩემმა დიდებულმა არ მკითხა და საშოვარზე წავიდა.

ხშირად, ეს, მეფის, რომ იტყოდნენ ხოლმე, „ცენტრალიზებული ხელისუფლების“, სიძლიერებზე დამოკიდებული, თორემ, ასეთ საშოვარზე, შესაძლოა მეფეც კი წავიდეს ხოლმე.

ფეოდალურ საქართველოს აქვს ამის აღმნიშვნელი ტერმინი - „მარბიელი“. ეს სრულიად ჩვეულებრივი რამაა, არც გასაკვირი, არც, უიმე, ეს რა ვქენით, ადამიანთა უფლებები დავარღვიეთ - „მარბიელი“ ფეოდალიზმის ერთ-ერთი არსია. ეს კეთილშობილი ხალხი, რაინდები, რომელთა წრფელ თავგანწირვაზე მოგახსენეთ, საშოვარზე მიდიან. ხშირად, აღებული ქალაქის დაჭერას არავინ აპირებს, უბრალოდ ის მათია რამდენიმე დღით და სწორედ იმიტომ, რომ საშოვარის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.


შეუძლებელია და მორჩა.

„მარბიელი“ „მეკობრე“ არაა, არც „მოთარეშე“, თუმცა, კი თარეშობს, მაგრამ თუ სხვათა არსი გამოგლეჯაა, „მარბიელი“ გამარჯვებულია და სოციალური სტატუსი და შინაგანი მიზანი სულ სხვა აქვს და რაც შინ მოაქვს, ის ეკუთვნის ომის კანონით.

„მეკობრე“, ჩვენი ძველი და ხანგრძლივი გაგებით, იგივე „ყაჩაღია“, კანონგარეშე, უღირსი ვინმეა: „მარბიელი“ კი გამარჯვებულია, მტერი დაამარცხა და მის მიწებზე ნადავლს მოიპოვებს.

დავითის დროის საოცარი ტერმინი „მპარავთმძებნელი“, ამერიკაში გაჩენილ „ტეხასელ რეინჯერსაც“ კი მოგვაგონებს. ერთგვარად, ესაა ხალხი, რომელიც სწორედ „მეკობრეს“ დასდევს და უფლებაც აქვს, რომ დაჭერილი მძარცველი ჩამოახრჩოს.

„მპარავთმძებნელი“ ისეთი ძველი სიტყვაა, რომ მას შურით შეხედავენ ყველგან, სადაც მრავალი საუკუნის შემდეგ საპოლიციო საქმე ჩაისახა.



ჩვენი უსაფრთხოების დავითისდროინდელი მაგარი ცნებაა „მონაპირეც.“ „მონაპირე“ ის დიდგვაროვანი თუ დიდებული კაცია, რომელიც სამეფოს კიდებე, ნაპირზე, სხვანაირად, საზღვარზე ცხოვრობს. როგორც ამბობენ, ის კარლოს დიდის დროის „მარკგრაფს“ გავს. „მონაპირეს“ მეტის უფლება აქვს მეფისგან, ვიდრე ქვეყნის შიგნით მცხოვრებ დიდებულს - მას შეუძლია მეფის უკითხავად იომოს, თუკი მტერმა საზღვარს გადმოაბიჯა. სხვა უპირატესობებიც აქვს, მაგრამ არსი ისაა, რომ „მონაპირე“ ქვეყნის უსაფრთხოების პირველი დამცველია.

თუმცა, ეს დავით აღმაშენებლის დროა, საუკეთესო საქართველო, რომელიც სახელმწიფოდ აშენდა. უსაფრთხოების გზები დავითის დროისგან ჩვენთვის ბოძებული დიდი საჩუქარია. მერე ასე აღარ იყო. მერე იყო დიდი გასაჭირი და მცდელობა.



ციხე და ტყე

მეხუთე საუკუნე, ვახტანგ გორგასალი, ქალაქების და ციხეების მაშენებელი, დიადი მეფე, რომელმაც არა მხოლოდ ფეოდალური სამეფოს საძირკველი ჩაყარა, არამედ სახელმწიფოებრიობის საუკუნო მეხსიერება შექმნა. პოეტის ნათქვამის: “ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი”

საყრდენი, სწორედ ვახტანგის მიერ, ალბათ პირველი, ხილული და მისი ნამოქმედართ დამახსოვრებული საქართველოა. ამდენი ციხე-ქალაქი და გზა აბა ვის უშენებია. ამდენი ქვაც, იშვიათად რომ ვინმეს მეფობაში გათლილიყო. ეს იყო კაცი, რომელიც ქართული ფეოდალური სამეფოს პირველი დიადი მქმნელია.

ძნელი მეფობა ჰქონდა, უპირობო უსაფრთხოება ვერ მოიპოვა, ამოსუნთქვა ვერ მოახერხა, მაგრამ სამეფოსთვის მრავალი ქმნა.

ფეოდალიზმის დროს უსაფრთხოების ერთ-ერთი საყრდენი არის ციხე.

ციხე-სიმაგრე, ციხე-ქალაქი, თუ დავამატებთ. კოშკიც კი, ძალიან მნიშვნელოვანია.


საქართველო ციხეების ქვეყანაა. ციხეები ყოველთვის დგას გეოგრაფიულად სწორ ადგილებზე. სამხედროდ, თავისთავად.

საუკუნეთა განმავლობაში, ნებისმიერ ციხეს თავისი დიდი ისტორია უგროვდება. ციხის სახელი, შეიძლება ლეგენდარულად მძიმეც და ანეკდოტურიც გახდეს. ორი-სამი ლეგენდა, რომელიც ოდესღაც ერთ ციხეს შეეხებოდა, იოლად მოერგება ხოლმე სხვა ციხეებსაც.

ამის მიზეზი მათი საერთო მნიშვნელობაა.

მაგალითად, მოალყეებს ჰგონიათ, რომ მეციხოვნეებს წყალი ადარ აქვთ, ისინი კი, უშველებელ ზუთხს გადუგდებენ ქონგურიდან. ამას ლამის ყველა ციხე ირგებს ლეგენდით, თუკი შორიახლოს მდინარე ეგულება. ანუ, გეოგრაფია და მასზე მორგებული უხილავი გვირაბები და ბილიკები.

საბოლოოდ, არსი ერთია: დამცველი მტერს დასცინის. მეციხოვნეთა ფილოსოფია ხშირად დაცინვა: ქვის კედელი კი დიდი იმედია. ჯერ კიდევ ხაზართა შემოსევის დროს,



მეშვიდე საუკუნეში, თბილისის ციხის კედლებზე, სათანადოდ შეკაზმული, კარიკატურული გოგრაა გადმოფენილი: აი, თქვენი ჭიბლუ ხაკანიო.

ხაზარები ქალაქს იღებენ, მაგრამ სურათი რჩება.


ციხის უბედურება, მისი დაცემაა. ციხე ეცემა, მტერი რეგიონს იკავებს. თემურ ლენგის მიერ ბირთვისის ციხის აღება, როცა მის მიუვალ კედელზე საბოლოოდ ვინმე ბეგიჯაგი აძვრა, ქართული ფეოდალური დროების ერთ-ერთი ცხადი ტრაგედიაა.

აღარ გვაქვს წყალი, მაგრამ ვსვამთ ღვინოს, ციხის დამცველთა ცნობილი განწყობაა - თანაც მტრისათვის საჩვენებელი: გალავნიდან ღვინის გადასხმა, ფქვილის გადაყრა, ეგებ ისეთი სიმაძღრის მაჩვენებელი არაა, როგორც ადლიანი ზუთხების სროლა, მაგრამ მტკიცედ დგომის ნიშანი კი არის.

თანაც, ქართული ციხე რაღაცით დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს ესპანურ გემებს ჰგავს: აქვს ოფიციალური სახელი, რომელიც უფრო ხშირად მის გეოგრაფიულ მდებარეობას, ხანდახან კი, პატრონს ეხმიანება, მაგრამ, ასევე ხშირად აქვს სახალხო, ზედმეტი სახელიც. ხშირი სახალხო სახელი, შეუძლებელია, ციხის პოპულარობის, მისი მრავალგამძლეობის გარეშე.

უმეტესად, ციხეებს რეალური გეოგრაფიული და პიროვნული გაგება აქვთ, რომ, მაგალითად, სხვილოს ციხე ამილახვრებისაა ამ საუკუნეების განმავლობაში და მას არ ჰქვია ზედმეტი, სახალხო სახელი. მაგრამ, ხომ არსებობს იგივე „მოდო, მნახე“, „ჰკა მაგას“, „მაგრად დაუხვდი“ და ხანდახან, ბევრად უფრო უცნებუროც: ვთქვათ, „ეს მომჭამე“ და სხვა ასეთი ზედსახელები. ეს აჩვენებს, რომ ციხე, ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი ორგანიზმია ძველ საქართველოში. ის ქკვიანურად ნაფიქრი და ღია თავდაცვის საშუალებაა ფეოდალიზმის დროს.

ქართული ქალაქები რომ ვნახოთ, იმათ შორის კი, ყველაზე ნაომარი, დაპყრობილი და მაინც გადარჩენილი თბილისი, გალავანი, კედელი, ზღუდერი აუცილებელია. ეგებ თბილისის



კედლები არ იყო სანიმუშოდ მტკიცე, მაგრამ თბილისი ის ქალაქი იყო, რომელსაც არა მხოლოდ არცთუ კარგი გალავანი, არამედ შიდა ციხეც ჰქონდა. შიდა ციხე, დედა(ა)(ო)-ციხე, ანუ მთავარი ციხე, ანუ ციტადელი, ზოგადი ტერმინია, თბილისში კი, ის ადგილი, რომელსაც ჩვენ ნარიყალას ვუწოდებთ.

ეს ქალაქის ყველაზე მტკიცე და საბოლოო საყრდენია. დედა-ციხე, ეგაა. მთავარი და მტკიცე. სიღნაღს არა აქვს თავისი „ნარიყალა“, არამედ მხოლოდ გალავანი, ანუ საერთო-საქალაქო დაცვა, მაგრამ თბილისს აქვს და როცა ისე ხდება, რომ მტერი ქალაქს დაიჭერს, საბოლოო საყრდენი სწორედ „ნარიყალაა“. იმავე დროს, ოკუპაცია, ნარიყალაში დგომია.


სწორედ იქ დგას სპარსელების და ოსმალების გარნიზონები, იქედან იმართება ქალაქი და ოდინდელი სამეფოს მტრის და დამპყრობლის მიერ. ერეკლეც, როცა თბილისის გათავისუფლების ომს წამოიწყო, მისთვის ყველაზე რთული საბოლოო ნიშნულად სწორედ „შიდა ციხის“ აღებაა, რადგან მტრის ტვინი და მთავარი ძალა იქაა.

რაც არ უნდა ილაპარაკო, ცხადი ერთია, რომ უციხოდ, ფეოდალური საქართველო არ არსებობს. არც მისი დაცვა და უსაფრთხოება. ციხეები საქართველოს მთავარი, ქკვიანური, გეოგრაფიასა და პოლიტიკასთან შეხამებული დაცვაა. ასეა ევროპაშიც.

ყოფილა, რომ თვითონ გვინგრევია ჩვენი ციხეები და ისინი მერე მტერს უშენებია, რადგან ამ ქვეყნის მართვა ციხეების გარეშე, შეუძლებელი იყო. თავის დროზე, მონღოლებსაც ის ხალხი შეეკრა ქვეყნის უსისხლოდ ჩასაბარებლად, ვისაც ყველაზე მტკიცე ციხეები ეპყრა და ვისაც სიმტკიცის გამოცდა პოლიტიკურად არ მოუწია.

ისიც ყოფილა, რომ უმნიშვნელოვანესი ციხეები მტერს დაუჭერია, მაგრამ მეფეს სულ სხვა ხერხი ჰქონია, რომ დამპყრობელს მშვიდად არ სძინებოდა. საქართველო დიდი პარტიზანობის ქვეყანაც ყოფილა და პარტიზანთა მეთაურებად კი მეფეებიც გვინახავს. ლუარსაბ პირველი, მისი ვაჟი სიმონი. თუნდაც თეიმურაზ კახთა მეფე, რომელიც ხანდახან ქართლისაც იყო, განა ტყის მეფეებად არ ყოფილან?

საქართველო ტყის მეზობლთა სამეფოა ჯერ კიდევ რომაელთა დროიდან. იმ რომაელებმა ტყეები გადასწვეს და დახოცილთა შორის იმდენი ქალი ნახეს, გაოცდნენო.



ვიღაც სულთნები დავით აღმაშენებელს ამუნათებდნენ კიდეც, „შენ ტყეების მეფე ხარ და ვერასდროს გამოხვალ ველზე“-ო. ტყუილი იყო, ველზეც აჯობა, უბრალოდ იცოდნენ, რომ ჩვენი უსაფრთხოების ერთ-ერთი ხერხი, ტყეცაა. მოდი და გვეძებე. პარტიზან მეფეზე ნამდვილი მეფე ვინ შეიძლება იყოს? ამ ამბავმა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე მოაღწია. ნახსენები დე გრაი და ფუა, რომ პირველად ხვდება იმერეთის მეფე სოლომონ პირველს, მასში მეფეს ვერ ცნობს -ტყეებში რაზმის მეთაური კაცი, ჯუბაში ჩაცმული, მოხარშული კვახით იკვებებაო. იმათ არ ესმით. ჩვენი ნამდვილი მეფე სწორედ ასეთია - ტყე სჭირდება, და ტყიდან იმარჯვებს.

სიმონი, ლუარსაბის ძე სოფლიდან მართავდა ქვეყნას და ომობდა, ომობდა, ომობდა...

ეს დიდი ისტორიაა. მაგრამ ციხე, მაინც სიმბოლოა. ციხე მტკიცედ დგომის ყველაზე ხილული მაგალითია.

ახლა მეცნიერები ამბობენ, რომ არსებობდა ციხეთა და კოშკთა საუკუნოობით განსაზღვრული და დაგეგმილი დაცვითი ჯაჭვები...



დასტა და მკვლევლობა

ჩვენი ფოდალიზმი ლამაზია ღირსებით, არასერიულობით, თავის უმაღლეს ზნეობაში მდაბიური მომხმარებლობის და გამორჩენის უარყოფით, თავდადებით უმაღლესის, საბოლოოდ მეფის წინაშე, მდაბალ ქცევათა უგულვებელყოფით. მაგრამ, ის ასევე მახინჯია ზემოთქმულთა უკუ თვისებებით: სავსეა ღალატით, მომხვეჭელობით, მხოლოდ ძლიერის პატივისცემით, პირადი გამორჩენის უპირატესობით.

ეს, ალბათ, იმის ნიშანია, რომ დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ყველა ნივთი და საქციელი, ცუდიცა და კარგიც, თითქოს მხოლოდ პირადი ხელნაკეთია. Handmade-ა.

ასე ჩანს, მაგრამ სინამდვილეში, ეს სისტემაა.


ფეოდალიზმის ტრაგი-კომიკურობა იმაშია, რომ, თუ ვთქვათ, ბარძიმ ამილახვარი და ელიზბარ ქვენიფნეველი ძარცვავენ დედოფალ ნესტან-დარეჯანს, როცა მისი ქმარი, მეფე სიმონი ალაბუთის ციხეშია გამოკეტილი, ეს ფეოდალური თავდასხმაა, ხოლო თუ დედოფალს ვიღაც ყაჩაღები დაესხმებიან, ეს ძარცვაა და ამ ყაჩაღთა, როგორც „უგვართა“ სახელებს, მათიანე არასდროს შემოინახავს.

ყველაფერი წოდებისა და ქცევების ერთობას ეხება და არა მაინცდამაინც სიმამაცეს და ღირსებას.

მერვიდმეტე საუკუნის პირველი მესამედის დროებაში, კახეთის მეფე, დიდი გმირი თეიმურაზი, თავის სიძეს, ზურაბ ერისთავს, სადილობისას აკვლევინებს. თვითონ იქ ზის და ზურაბს მის თვალწინ კლავენ.

ფეოდალიზმი ესეცაა: სიკვდილი ხილულია. ოღონდაც, არ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ პოლიტიკური მკვლევლობები ხდება, ყოფითი მკვლევლობები, ანდა სიკვდილით დასტა, იოლია.

საქართველოში კაცის მოკვლა, სიკვდილით დასტა, ბევრად ძნელია საუკუნეთა განმავლობაში, ვიდრე მის თანადროულ ევროპაში. მთელი რვაასი წლის განმავლობაში, თუ საქმე პოლიტიკურ მკვლევლობას (ვთქვათ, მონღოლების დროს ჭიქურის მოკვლა) და ღია



ყაჩაღობა-მეკობრეობას არ ეხება, ვერავის დასჯიან სიკვდილით ისე იოლად, როგორც დანარჩენ მსოფლიოში. ეს არაა სიკვდილით დასჯის ქვეყანა. კანონებიც ასეთია.

ჩვენს ფეოდალიზმში, ადამიანის მოკვლა ათასჯერ უფრო რთულია, ვიდრე ჩინეთის ზღვებიდან ატლანტიკამდე და ეს კარგი ამბავია. ეს ჩვენი თანდაყოლილი, დაკარგული „ფეოდალური დემოკრატიის“ და „საქართველოების“ ამბავია.


როცა საქმე პოლიტიკურ ინტრიგას და კრიზისს უკავშირდება, მკვლელობა იშვიათი სულაც არ არის (მრავალთაგან, შემოგვრჩა საშინელი ამბავი, როცა ხოსრო მირზამ (მე-17 ს. შუახანები) ევდემოს კათალიკოსი, რომელიც მის წინააღმდეგ შეთქმულებას ეხმარებოდა, მოაკვლევინა და მის ნაცვლად საერო კაცი დაანიშნინა კათალიკოსად).

ჩვენს მათიანეებში ბევრად მეტია პოლიტიკურ მკვლელობათა აღწერილობები, ვიდრე მძიმე, თუნდაც პოლიტიკური დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯის სურათები.

ეგებ, ბევრი ლეგენდადაც თვლიდეს, რომ თამარის დროს სიკვდილით არავინ დაუსჯიათ, მაგრამ ეს გადმოცემა ბევრად მყარია, ვიდრე უბრალოდ ნათქვამი. სასამართლო საქართველოში კლავდა უკიდურესად იშვიათად, თითქმის არასდროს. ასე იყო ათას წელიწადს.

აქ, ოდნავ სხვა კუთხით, ორიოდ ეპიზოდის უნდა გავიხსენოთ: ნახსენები თეიმურაზის მიერ მოკვდინებული სიძე, ზურაბ ერისთავი, გიორგი სააკაძის ცოლის ძმა - დიდხანს მისი თანამებრძოლი, მაგრამ ფეოდალური გაგებით, 1625 წლის ამბების გმირისთვის, ზურაბისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ საღმრთოდ და საერთაშორისოდ თვით დამპყრობელთაგან მიუღებულ, მაგრამ წმინდა სამეფო საგვარეულოს დაუმოყვრდეს. ეს მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის და მძლე ფეოდალისთვის გადამწყვეტია და, დღევანდელი სიტყვით, ის „ღალატობს“ სააკაძეს თეიმურაზთან დამოყვრების გამო.

თვალშეუდგამი მიზეზია, რომ ზურაბი, თუნდაც ტყე-ტყე მორბენალი მეფის სიძე იქნება და თეიმურაზიც, პოლიტიკური ქორწინებით აძლევს მას ქალს, როგორც ყველაზე ღონიერ ფეოდალს. თუმცა, თეიმურაზმა ისიც იცის, რომ ასეთი ძლიერი და არასანდო კაცისა, სიკვდილი ჭობს. ჰოდა, სწორ დროს შეარჩევს და კლავს.



თავის მხრივ, თეიმურაზის ბუნება, მისი ამპარტავანი და ვერაგი სამეფო განწყობის მიუხედავად, ორი ქართული საუნჯის მფლობელია: პოეზიისა და ღირსებისა.

პოეზია: მისი ლექსები, ტკივილიანი, ტრაგიკული პოემა დედის, წმინდა ქეთევან დედოფლის შესახებ, რომელიც შაჰ აბას პირველმა (ქართველთა გენოციდების პირველმა მოწადინემ) აწამა.

ღირსება: ნამდვილ, ძველ რაინდობას გამოხატავს, როცა იმერეთში სამადლოდ შეფარებული თეიმურაზი სპარსელთა წინააღმდეგ ოსმალეთის გამოყენებას გადაწყვეტს და სტამბოლს წასული და ამ ქალაქს მიახლებული, თავის მხლებლებს ეუბნება, რომ რაც რამ ვერცხლი აქვთ, იმით ნალები ჩამოასხან და ცხენები დაჭედონ, რათა ოსმალებმა არ იფიქრონ, ვიღაც ღატაკნი მოსულანო.

ასეც შევიდნენ იქ, ვერცხლის ნალებით. თუმცა, ვერცა ჭამდნენ წესიერად და ვერც ბინა ჰქონდათ მეფის შესაფერისი. მაგრამ, აი, ჩვენ, რაინდები მოვედით, ვერცხლის ნალებით. ეს პოლიტიკურ მოლაპარაკებებსაც ეხმარებოდა.

ანდა, ამბავი ედიშა ვაჩნადისა: ბაბაღეთის ომის წინ, გიორგი სააკაძემ გაბედა და პიროვნულ ბრძოლაში გამოიწვია მეფე თეიმურაზი. მეფე უარს არ იყო, მაგრამ, იმ ცოცხალმა, რაინდულმა ქართულმა ფეოდალიზმმა უთხრა, შენაო, მეფეო, როგორ უნდა გახვიდე მაგ მცირეგვარიანთან საბრძოლველადო (სახელი უდიდესი, წოდება მცირე) და აღჩნდა ყმაწვილი ედიშა, რომელმაც მეფის მაგიერ გასვლა ითავა, მისი სამოსი მოირგო და, ჯვარი სწერიან ორივესა, სააკაძემ მოკლა იგი, შეჭურვილი, ისე რომ მეფე ეგონა.



მეტი

მოკლედ, რაინდობა ქმნის დიად სურათებს, ციხეები კიდევ უფრო დიადს, მაგრამ არც ერთი და არც მეორე, არ არის სიცოცხლისა და გადარჩენის არსი. უამათოდ არ გამოვა, მხოლოდ მათითაც, არა.

ჩვენი მაგალითი და ძალის მომცემი დავითის და თამარის საქართველოა.

თავიანთი სახელმწიფო წყობით, ცხოვრებისა და მმართველობის საინტერესო, განუმეორებელი ფორმებით, მმართველობის სიბრძნითა და მოქნილობით ბაბუისა და შვილთაშვილის, და მათ დროებათა შორის მოქმედმა ქართველმა მეფეებმა შექმნეს სამუდამო საყრდენი და უკიდურესად დამცრობილ საქართველოს სამეფოებსა და სამთავროებსაც კი ახსოვდათ დიადი მაგალითი. ეს იყო პოლიტიკური მეხსიერება, ხოლო სარაინდო მეხსიერება „ვეფხისტყაოსანი“ გახლდათ. ამას ეფინებოდა რწმენა, როგორც საღმრთო და უმაღლესი წარმმართველი და სამი რამ აცოცხლებდა, წამხდარ, დაპყრობილ, დამახინჯებულ საქართველოს საუკუნეთა განმავლობაში.

დავითისა და თამარის სამეფოები არის ქვეყნები დიადი ფეოდალიზმისა, როცა მეფის ხელისუფლება ძლიერია და როგორც ძველად უნივერსიტეტში გვასწავლიდნენ, „საქართველო არის ძლიერი, ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო“.


ეს იყო, რაც საუკეთესო, სწორი და სამაგალითო ჩანდა.

მაგრამ საქართველო ყოველთვის ასე არ იყო. ყოველთვის კი არა, უმეტესად.

ფეოდალიზმის ერთ-ერთი არსი ისაა, რომ ხშირად, ის შინაური, ვინც ძლიერდება, ან უკვე ძლიერია, მოდგმით, გაქანებით, შეძლებით, წარმომავლობით, იმ „ერთიანი, ცენტრალიზებულის“ წინააღმდეგია. თავისთვის მეტი უნდა. მეფე. სადამდეც მიუშვებს, იქამდე მივა.

ის იბრძვის მეტი უფლებებისთვის.

რა უფლებებია ეს?



ეგებ, საბოლოოდ, რომ „მეფესავით განაგოს?“

მაგრამ სად? მთელს ქვეყანაში?


ეს სასაცილოა, რადგან ვერცერთი ამათგანი, ყველაზე დიდიც კი, თითქმის ვერასდროს გასწვდება მთელს ქვეყანას. მოგეხსენებათ, „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების.“

მეტი მიწა, მეტი შემოსავალია. მეტი შემოსავლის მისაღწევად, კი პოლიტიკა, ომი, მიტაცება, წაგლეჯვაა საჭირო. თუ პოლიტიკურად ძლიერი არ ხარ, შენი პირადი შეძლება და ქონება, წინ ვერ მიდის და ეგებ სხვამაც აგართვას მიწის ნაწილი. თუ პირადი შეძლება დიდი არ გაქვს, პოლიტიკურად წინ ვერ წახვალ. ასეთი ხლართია.

ორ მეფეთა, ერეკლე მეორეს და გიორგის შვილი და შვილიშვილი, იოანე ბაგრატიონი მწარე იუმორით მოგვახსენებს მე-19 საუკუნის დასაწყისში: „ქართლში სამართალი არცა ყოფილა და არც იქმნებისო.“ ამას ამბობს უფლისწული, ქვეყნის ერთ-ერთი საყრდენი, იმ დროის უჭკვიანესი კაცი. მერე თავადაც აღწერს სამართლიან და უსამართლო „მდივანბეგებს“ - უფროს მოსამართლეს. სასამართლო სისტემა, კანონები, საჩივართა მოძრაობის საქმე, მათი განხილვა, აპელაცია, მეფემდე - უმაღლეს მოსამართლემდე მიტანა, საუკუნეთა განმავლობაში გამართული საქმეა საქართველოში. იცვლება ტერმინები, ფორმები, დამპყრობელთა მმართველობის გავლენას შემოაქვს რაღაც თანამდებობები და სიტყვები, „ოსმალობის“ დროს თბილისში მბრძანებელ ახალციხის ფაშას შარიათიც კი შემოაქვს, მაგრამ ქართული სამართალი მაინც ყოველთვის მუშაობს. მმართველობისა და გამგებლობის პარალელური ფორმები ისედაც სულ გასდევს ოკუპირებულ ქვეყანას - მოსულს და ადგილობრივ მოხელეს, ყველას რაღაც უფლება აქვს, ნაირგვარი გაქანებისა და ხშირად ერთმანეთის მსგავსი.

თუმცა დიდი ფეოდალისა და მეფის ურთიერთობას რომ დავუბრუნდეთ - ძლიერი მეფის საქართველოში, დავითიც საკმარისად ეომა ბაღვაშებს და აბულეთისძეებს. თავიანთი სურვილებით და ბრძოლით, ამათ წაიღეს მეფის ლამის ნახევარი ცხოვრება.

თამარის გამეფება ერთი დიდი ომი გამოვიდა გასაგები მიზეზების გამო. მისი განქორწინება, ხომ საერთოდ. როცა მეფეს ბზარს დაუნახავენ, დიდ-დიდნი უფლებებს ითხოვენ. ასეა



თამარის ეპოქაში. საერთოდაც ასეა. უბრალოდ, სუსტებს აღარც ეკითხებიან, თვითონ იღებენ უფლებებს. ეს უფლებები კი მიწას, ეკონომიკას ებმის. პოლიტიკურ და სამართლებრივ უპირატესობებსაც ამტკიცებს.

თამარის ახალგაზრდობამ შვა ისეთი დიდი უცნობი ჩვენი ისტორიისა, როგორც იყო ყუთლუ არსლანი და ის მოვლენა, რომელსაც „ისნის კარავი“ ჰქვია. ეს Magna Carta Libertatum-ის მსგავსი, ოღონდ განუხორციელებელი ამბავია.

მაგრამ ეს, მეთორმეტე საუკუნეა. ამის შემდეგ უმეტეს დროს კი, საქართველო იყო ან დაპყრობილი და თავისუფლებისთვის მებრძოლი, ან კი, დაშლილი სამეფო-სამთავროებად: მხოლოდ ხანდახან თითქმის ერთიანი, უმეტესად კი, „ფეოდალურად დაქუცმაცებული“ ქვეყანა.

ეს ის ქვეყანა იყო, სადაც სამცხელები ჩვენს ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მეფეს ატუსაღებდნენ საკუთარი ფეოდალური თავისუფლებისთვის. საერთოდ, ბევრი რამის ქვეყანა იყო, მაგრამ არსით კი, დიდგვაროვნების. იმავე დროს, სამცხე ჩვენი, სახელმწიფოებრიობის, სულიერების და ინტელექტუალური წარსულის საყრდენია.

ასეთ ქვეყანაში დიდგვაროვნებს იმდენი უფლება და გაქანება ჰქონდათ მეფის წინაშე, რომ ეს, პოლიტიკურად და პატრიოტულად, არცთუ პოზიტიურ „დემოკრატიას“ ქმნიდა.

როცა თითქმის იგივე შეგიძლია, რაც მეფეს, ეს „თითქმის“ - ხშირად უკიდევანოა, იქამდე მიდის, სადამდეც გაიტან. საბოლოოდ კი, იმ უბედურებას მიიღებ, რასაც ჩვენთვის დაკარგული მესხეთი ჰქვია, იმ დროს კი სამცხე-საათაბაგოს უწოდებდნენ, საბოლოოდ კი, ახალციხის საფაშოს.

ეგებ ეს ყველაზე მძიმე მაგალითია, თუმცა, მომცრონიც არანაკლებ მტკივნეულია.



ბლაფობა

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი მესამედის საქართველო, სამეფოთა ტრაგიკული აღსასრულის წინაშე მდგომი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩართული ქვეყანაა.

ეს არის დიადი, შექსპირული ხასიათების, გმირების დროება. მაგრამ დიადი ხასიათები არის იშვიათი ნაზავი უტეხოებისა და იმავდროულად ეპოქის დამახასიათებელი ხინჯებისა.

რაინდობა, წოდებრიობა, ღირსება, რომელთაც ეხამება ამპარტავნება, ვერაგობა, დაუნდობლობა, მოხვეჭის სურვილი: ტრაგედიაში ეს ყველაფერი საჭიროა ხოლმე, დიდ შეცდომებთან ერთად.

1625 წლის 1 ივლისი. მარაბდა.


აღმოსავლეთი საქართველო ემზადება მისთვის უმნიშვნელოვანესი, როგორც გამოჩნდა, სულისშემძვრელი ომის წინაშე. გავიმარჯვებთ, ამოსუნთქვა იქნება. არა და ახლოა ხოსრომირზობა და კახეთის თათრულად მართვა.

იქედან სპარსელებია: რაც ომისა იციან, ყველაფრით - შეურაცხყოფილები არიან მარტყოფში წახდენით ცოტა ხნის წინათ და სტრატეგიულადაც შერყეულები ჩანან. მოკლედ, მზად არიან. აქედან, ჩვენ ყველანი.

ამ ომში დაიხოცნენ დიდ საგვარეულოთა შვილები: მუხრან-ბატონები, მაჩაბლები, ხერხეულიძეები და ათასები, ერთიმეორეზე უკეთესნი. აბჯარასხმული ეპისკოპოსებიც კი, უკანმოუხედავად იბრძოდნენ და დაიღუპნენ. გადამწყვეტობის დიდი შეგრძნება იყო.

ბრძოლის სარდლად იყო კახთა მეფე, თეიმურაზი, რომელმაც პირადად ისე იომა, რომ როცა ყველა იარაღი დაემტვრა, მუშტით იბრძოდა და თითებზე ბეჭდები შეატყდა. დიდი თავგანწირვის, იშვიათი ერთობის დღე იყო.

ამ დღის მომტანია გიორგი სააკაძე, რომელიც ეგზეკუტორად შემოჰყვა სპარსელებს, როგორც მათი ერთ-ერთი გენერალი, მაგრამ იშვიათი ქცევით სპარსელთა თითქოს უნაკლო გეგმა შემოაბრუნა, მოკლა სარდალი ყარჩიხა ხანი და მარაბდამდე მოიყვანა ქვეყანა.



ჰოდა, მარაბდის ომის წინ, ტაქტიკაზე მსჯელობა ისეთი გამოვიდა, რომ სააკაძე და მისი ხალხი ამბობდა, ზაფხულია, ცხელა, სპარსელები ასეთ სიცხეს მიჩვეულნი არიან, არ გვინდა ერთი და გადამწყვეტი ომი, პარტიზანობით ვეომოთ, რაშიც მეტად ვაჭობებთო. ეს აზრი არ გავიდა, იმიტომ რომ მასში არც აშკარა სახელოვნება ჩანდა და ვითომდა არც ვითარების, სინამდვილეში კი, იმდროინდელი ფეოდალური მენტალიტეტის გათვალისწინება.

მარაბდა ბარათაშვილების მიწებია და ისინი ამბობდნენ, რომ მათი მიწა საქვეყნო ჯარის აქ დგომით ცდება. დღევანდელით რომ ვთქვათ, ეკონომიკური ზარალი ყოველდღიურად იმატებს და რახან აქ ხართ, მალევე ვიომოთ, ასე ნუ შეგვანუხებთო. ანუ, ეს ომი, ბევრი საუცხოო ადამიანისთვის გადამწყვეტია, მაგრამ იმათთვის, ვის მიწაზეც ხდება, ფეოდალური საფიქრალიც დიდია. ამიტომ, ისინი აჩქარებენ მეფეს.


როგორც „ერთიან და ცენტრალიზებულ“ საქართველოში აქვთ ფეოდალებს ძალა და სიტყვა, ისევე „დაქუცმაცებულ“ საქართველოში. უბრალოდ, ამ უკანასკნელში მათი ძალისა და მოქმედების უნარი ბევრად მეტია. ეს მათი „თავისუფლებაა“, რომელსაც ზურგს მათივე სამხედრო ძალა და ეკონომიკა უმაგრებს.

მეფე თეიმურაზიც გენერალურ ბრძოლას მიემხრო.

ეს ომი, ფანტასტიკური, დიადი, განუმეორებელი, იყო.

ქართველები დამარცხდნენ. დაიღუპა ცხრა ათასი ჩვენნიანი და თოთხმეტი ათასი მტერი. მნიშვნელოვანი გამოდგა ომის შემდგომი დღეებიც. მოკლედ, მრავალი ამბის შემცველი დიდი ისტორიაა და მეცნიერებს ქართველთა დამარცხების მიზეზიც მრავალი აქვთ: შეიარაღება, ტაქტიკა, ამინდი, ძალების სიმცირე, სპარსული სარდლობის უნარიანობა, გადამწყვეტ დროს შაჰბენდე ხანის წამოშველება და სხვაც.

აღბათ ყველა მათგანი მართებულია, მაგრამ ამ საოცარი, გადამწყვეტი ბრძოლის დროს ხდება ფეოდალური „თავისუფალი შეგნებისთვის“ დამახასიათებელი ამბავი: ქართველთა კავალერიის წარმატებამ სპარსელებში დიდი არევიდარევა გამოიწვია, მათი წყობა, გაირღვა,



ხოლო ჩვენი მეომრების გვარიანი ნაწილი ორდუბაზარს, სპარსელი ჯარის საინტენდანტო ბანაკს მიადგა და ომიც იქ შეწყვიტა, ალაფობა დაიწყო.

„ალაფობა“, საბას მიხედვით არის „რბევა-ერთისა, ანუ ორი კაცისა ხვასტაგთა წარტაცება. „სამყაროში, სადაც „მარბიელი“ მრავალსაუკუნოვანი ხელობაა, ასეთი ფიცხელი ომის დროს, ასეთ გადამწყვეტ პოლიტიკურ დღეს ატეხილი „ალაფობა“ არავის გაუკვირდებოდა.

ერთი შეიძლება შეეძახათ, რა დროს ეგ არის, ჯერ ხმალია საქნევით, თორემ, ვინ დაუშლიდა.

ასეთი სამყაროა, იქეთ დავით ჯანდიერი, ბაადურ ციციშვილი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი ილუპებიან, აქეთ ეს ასევე გმირულად მებრძოლი ხალხი ნადავლის წამოღებას ჩეარობს, თვლის რომ საქმე გაკეთებულია. იქ კიდევ, ავთანდილ სააკაძე გაედევნა ვიღაცას, რატომ, ვერავინ გაიგო. მანამდე, იმან, დროზე ვიომოთ, ეს მიწა ხომ ჩემია, რამდენ ხანს უნდა იდგეს ზედ ჯარიო? მერე გვამთაგან გასაწმენდიც იქნება და ხარჯი? იმან კიდევ, მაინცდამაინც გენერალური ბრძოლა მინდაო და ასე დაუსრულებლად.

ეს ფეოდალური გაგების ერთ-ერთი მხარეა. ისტორიამ არ შემოგვინახა იმ მეომართა სახელები, რომლებმაც ასე მოხდენილად გაანგრიეს მტრის რიგები და უცებ „ალაფობით“ დაკავდნენ.

სურათის ფართოდ ხედვა ერთეულების ხვედრია. დანარჩენები, მათ მიჰყვებიან და თავისი უფლებები და მოვალეობები კარგად იციან. ეს უფლებები და მოვალეობები არც რაგინდარა მნიშვნელოვანი ომის დროს იცვლება. „ალაფი“ გვერგება და აქვეა, საქმე თითქმის გაკეთებულია, რაღას დაველოდოთ? ეს მიწა ხომ ჩემია, რამდენ ხანს უნდა იდგეს ჯარი? მერე გვამთაგან გასაწმენდიც იქნება და ხარჯი?



რელიეფი

ერეკლე მეორე ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მეფობდა აღმოსავლეთ საქართველოში. ეს იყო მეთვრამეტე საუკუნეში, როცა ასევე ას წელიწადზე მეტხანანი შესვენების შემდეგ, ქართლის მეფედ, ქრისტიანულად პირველად ეკურთხა მამამისი, გამოცდილი პოლიტიკოსი.

ეს ახალი დასაწყისის ნიშანი იყო.

საუკუნის პირველი ნახევარი მძიმე გამოდგა, ვახტანგ მეექვსის ქვეყნიდან წასვლა, შინაომები, ოსმალთა, ყიზილბაშთა, თბილისის გათავისუფლება. მთელი მეორე ნახევარი კი ერეკლემ იმეფა.

მისი მეფობაც ტრაგედიით, დიდი მარცხით დასრულდა, მაგრამ მანამდე დიდი საქმიანობა და პოლიტიკაც გასწია.


იმ დროის მძიმე პრობლემები ცნობილია და ქართლ-კახეთის ფეხზე წამოყენება უკიდურესად რთული რამ გამოდგა. ერეკლემ ვერ შეძლო საბოლოოდ გარდაეტეხა ქირი და თავისი მეფობის ბოლო ათწლეულებში გაჭირვებით ამაგრებდა მიღწეულს. გამოდგა.

უამრავ პრობლემათაგან ერთ-ერთი მთავარია მმართველობის და ეკონომიკის ჩამორჩენილი ფორმები, ამასთან ერთად კი, მოსახლეობის სიმცირე და მისი სრული დაუცველობა. აყრილი სოფლები, გავერანებული ნაყოფიერი მიწები, გადახვეწილი ხალხი.

ერთხანს, ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა, რაც ქართლში მოსახლეობაა გაბნეული მუხრანს და თბილისს შორის დავასახლოთ, ასე დავიცავთ მაინცო. მეტი უბედურება რაღა უნდა აიყოს.

იმ დროის საქართველო ბევრს ცდილობდა საგარეო საქმეებში: ერეოდა ათას რამეს, ჰქონდა წარმატებებიც, მაგრამ ვერაფრით ერეოდა ლეკიანობას.

ეს გრძელდებოდა უსასრულოდ, ამოუსუნთქავად და მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა შეუძლებელი იყო.




ლეკიანობა სულ სხვადასხვა გაქანების და ტომის დაღესტნელთა რაზმების თამამი და დაუნდობელი თარეში იყო, ხოლო საძარცვავი და მოსატაცებელი მოიცავდა ყველაფერს, უბრალო ქვაბიდან, ოქრო-ვერცხლამდე და ცხვარ-ძროხიდან ადამიანებამდე.

ერეკლეს უნდოდა, რომ დადუმებული სოფლები გაეცოცხლებინა, ხშირად, ქართლიდან მიჰყავდა გლეხები კახეთს, ანდა პირიქით. არ ერიდებოდა უცხოეთიდან იქ გაქცეული ქართველების შემობრუნებას, ქართველი ტყვეების ძიებას და გამოსყიდვას, სომხებისა და შია, თუ სუნი მუსლიმების ჩამოსახლებას, ოღონდ კი რამე ამოქმედებულიყო. როცა პოლიტიკაში მომჭობინდებოდა, მეზობელი სახანოების მიწებს მოიერთებდა, ისეც კი გამოდიოდა, რომ მათ ხარჯზე ახერხებდა რალაცის გამოღვიძებას. ერს და ეროვნებას ამ საქმისთვის არც არჩევდა და არც იყო, ერთის ხარჯზე მეორეს მჩაგვრელი. სამართალშიც კი ფრთხილად მოიქცეოდა, თუკი სმენოდა, რომ იმ მისი სამეფოს უცხოელებს, თავიანთი ადათი ურჩევნიათ. სმენოდა რა, მაგის მეტი რა იცოდა. დარჩენილია ერთი საბუთი, სადაც ორი ებრაელის დავაზე საუბარი და მეფე დაახლოებით ასე უდგენს, თუ ძალუძთ დავითის სამართლით მორიგდნენ, თუკი ამ საქმეს უხერხდება, ეგრე აჯობებსო.

სისტემური ბრძოლა ლეკიანობის წინააღმდეგ ძნელი იყო. რაზმები, სახელდახელო მღევარი, თავად მეფის მონაწილეობა ასეთ შეტაკებებში, მრავალი წლის განმავლობაში, წახალისებანი, გლეხთა გააზნაურება კარგი მღევრობისა და ომისთვის, ასე თუ ისე, აკავებდა რალაცას.

დაღესტნელები სხვადასხვა გაქანებისანი იყვნენ და ცნობილ დაქირავებულებად ითვლებოდნენ. ასე რომ, მათში ყველაზე განთქმულნი, პოლიტიკურადაც სახიფათონი ხდებოდნენ, რადგან ოსმალეთს, ახალციხის საფაშოს ეკვროდნენ, იქ ინახავდნენ თავს და ყველანაირი ზიანისთვის მზად იყვნენ. ზიანი კი მძიმე იყო, რაც ყველაზე ცუდია, უწყვეტი.

მოსახლეობადაცოტავებულ ქვეყანას ლეკთა რაზმები და ლაშქრებიც კი ისე გამოივლიდნენ და ისე მივიდოდნენ დასახულ ადგილამდე, რომ უმეტესად ვერავინ ამჩნევდა. ამიტომ, მათი თავდასხმები იყო მოულოდნელი, სწრაფი და მძიმე. ეს იყო ვითარება, როცა ვერაფერს წამოიწყებდი და საძირკველსაც ძნელად ჩაუყრიდი რამეს.



დიდ ქალაქებსა და ციხეებს ლეკები იშვიათად ეცემოდნენ, მაგრამ, აი, თუ დიდი ძალით მოდიოდნენ, არც ამას ერიდებოდნენ.

ხალხი არ იყო, საჭირო იყო ორგანიზაცია.

ასე შეიქმნა მორიგე ჯარი, რომელიც ხუთიათასამდე კაცს უყრიდა თავს. ეს კარგი გამოგონება იყო: პირველად საქართველოს ისტორიაში, სავალდებულო განწვევა, უსაფრთხოების დაცვის მუდმივი შენაერთი.

ის დრო წასული იყო, მხოლოდ კეთილშობილნი რომ ომობდნენ.


მორიგე ჯარის განაწილებით, ყოველ ზრდასრულ კაცს, უმეტესად კი გლეხკაცს, წელიწადში ერთ თვეს, თავისი იარაღით და საკვებით, უნდა ემსახურა მორიგედ. თუ ხელმოკლე იყო და მის საკვებზე მისსავე ბატონს უნდა ეზრუნა. იმ ერთ თვეს, გლეხკაცი ყოველგვარი საშინაო ვალდებულებებისგან თავისუფლდებოდა. ამ მორიგე ჯარს, რელულის ჯარსაც რომ ეძახდნენ, ანუ რეგულარულს, ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი სარდლობდა.

და ამან უშველა: მკვეთრად ჩაახუმა ლეკები იმ რამოდენიმე წელიწადს, რაც იარსება. ალბათ მალე საბოლოო გარდატეხაც მოხდებოდა.

მორიგე ჯარი იყო საუკეთესო რამ რაც საქართველოში უსაფრთხოებისთვის გაკეთდა ლამის ორი საუკუნის განმავლობაში.

ოღონდ, ეს ჯარი ერეკლესა და ლევანის გარდა, მგონი, ბევრს არავის მოსწონდა.

გაგება ისევ იქ იყო, იმ დროში, აი, ბარათაშვილს რომ მიწა და ხალხი უცდებოდა მარაბდის ომის დროს. თავადებისგან მათი ყმები მიჰყავდათ და პირდაპირ მეფის სამსახურში აყენებდნენ. ეს ულამაზო და საეჭვო იყო. თანაც, ხარჭი ემატებოდათ და მუშახელი აკლდებოდათ, იქაც შემოსავალი და მოკლედ, საყოველთაო-სამხედრო განწვევა არ მოეწონათ. გვარიანად ცდილობდნენ, რომ ეს მორიგე ჯარი მოშლილიყო. მერე ლევან ბატონიშვილი გარდაიცვალა: ბუნდოვან, საეჭვო ვითარებაში. ცუდ ამბებს რა გამოლევს საქართველოში.



მერე მორიგის განწვევები შემცირდა, მერე მიწყდა და მერე კი გაქრა და საბოლოოდ დაქირავებულმა მორიგე ყარაულმა შეცვალა. მერე კი ომარ ხანმა დიდი ლეკობა შეყარა და ისეთი თარეში მოაწყო, ლიხს აქეთაც და იქეთაც, რომ ერეკლეს მისთვის ფულის ხდამ მოუწია, ამოგვასუნთქეო.

მორიგე ჯარი კი შიდა უსაფრთხოების ყველაზე კარგ, თუმცა ხანმოკლე მაგალითად დარჩა ღარიბ სამეფოში, სადაც მისი არსებობა სასარგებლო რამ იყო. საინტერესოა, რა იქნებოდა, რომ გაეძლო.



ძეშაგი და ტერმინის სიცოცხლე

არცთუ შორეული საბჭოთა წარსულის მრავალ საარქივო მასალას შორის ნამდვილად საინტერესოა სტალინის პირადი ბიბლიოთეკის წიგნები. ეს ბიბლიოთეკა ხრუშჩოვის ბრძანებით მალევე გააქიქეს, თუმცა, რუსი მკვლევარები სტალინის მიერ წაკითხულ წიგნებს არ ივიწყებენ და ჩვენც, ამ უკიდუგანო არქივებიდან რაღაც შეგვხვდება ხოლმე.

ხალხთა ბელადი იმ დროებაში აღზრდილი კაცი იყო, როცა წიგნს ფანქრით ხელში კითხულობდნენ და შენიშვნებს, თუ დასამახსოვრებელ აქცენტებს, გვერდის არეზე მონიშნავდნენ მოხდენილი, ან მოუხდენელი ფრაზებით, თუ რაღაც ნიშნებით, რომლებიც მერედამერე მხოლოდ წამკითხველს ესმოდა. კითხვის ეს კულტურა ცოცხალი იყო, ქართულად რომ ვთქვათ, „რუსთ ხელმწიფის“ დროდან და სტალინის სიკვდილამდე.

ჩვეულებრივ, ის ხორციელდებოდა ძველი რუსეთიდან საბჭოთა კავშირს გამოყოფილ ორბოლოიანი ფანქრით და ფანქარი იყო წითელ-ლურჯი.


ოდესღაც ამგვარ კითხვას „შტუდირებას“ ეძახდნენ, ანუ სწავლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ წიგნში გადმოცემული ჰაზრები წამკითხველისგან დამახსოვრებული და შეფასებულია.

ამასწინათ, ჩვენებურ ჟურნალ „არსენალში“ გამოქვეყნდა უკიდურესად საინტერესო სტატია, სტალინის მიერ კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნის იმ თავისი წითელ-ლურჯი ფანქრით კითხვის შესახებ.

იმ შენიშვნათა შორის, რომლებიც სტალინმა მიაწერა დიდი ქართველი მწერლის წიგნს და რომელთა სრული უმრავლესობა ორთოდოქსი კომუნისტის, რევოლუციონერის ფილოსოფიას წარმოაჩენს, ტერმინოლოგიურად განსაკუთრებით საინტერესოა ორი:

სტალინს არ მოსწონს სიტყვა „ლაშქარი“ და მას სიტყვა „ჯარი“-თ ცვლის, „ლაშქარნი“-ს კი, „ჯარისკაცებით“ და მას ასევე აღიზიანებს სიტყვა „მსტოვარი“.

განწყობისმიერად, ეს გასაგებია: ბელადისთვის სიტყვა „ლაშქარი“ უფრო მეტად ძველი საუკუნეების ქართული ჟღერადობისაა, ვიდრე „ჯარი“ და ამიტომ, ალბათ ფიქრობს, რომ ლაშქარი შეიარაღებულ სახალხო თავშეყრას ნიშნავს, რაღაცას, რაც მის მიერ აშენებულ



სახელმწიფოში სრულიად მიუღებელია. „ჯარი“ კი, მისთვის წესრიგია, სახელმწიფოა, ისაა, რასაც მის ქვეყანაში „Армия“ ჰქვია.

მუშურ-გლეხური წითელი არმია.

ქართველისთვის ჯარი და ლაშქარი ბოლო რამოდენიმე საუკუნეა, თითქმის ერთია. კაცი იფიქრებს, რომ მანამდეც, მაგრამ, ალბათ, მეცნიერები ამ ორ ცნებას შორის არსებულ რამდენიმე საერთო და განსხვავებულ ნახნავს ბევრად ცხადად წარმოაჩენენ, ვიდრე მე.


სახალხო გაგებით კი, სხვაობა არცთუ იოლად მოსახელთებელი, მაგრამ გასაგებია: რატომღაც, ჯარი თითქოს პროფესიონალი მეომარია, ხოლო ლაშქარი, აგე, ჩვენ ყველანი საომრად გამოვედით, ეგებ „ქუდზე კაციც“ კი.

ჰოდა, სტალინსაც ასე ესმოდა.

სინამდვილეში კი, ეგებ ეგრე მკაცრად არ არის და უკვე უნდა მოვიხმოთ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, რადგან უფრო პირდაპირი და ცხადი მოწმობა ჩვენ არ გვაქვს, თუ არ ჩავთვლით უფრო ადრინდელ სიტყვათმობარეებს ჩვენი წყაროებისა და მათიანისას, სადაც სიტყვა „სპა“-საც გადავანყდებით და ეგებ სხვა ტერმინებსაც.

აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი დამპყრობი აღმოსავლეთის იმპერიების ენებზე, არაბულითგან მომდინარე, „ლაშქარ“ გულისხმობს „არმიას“, ხოლო სულხანის ლექსიკონი, არ არის საქართველოს საუკეთესო დროებათა ენის აღმწერი, არამედ იმ გრძელი ხანისა, როცა ჩვენი სამეფოები დაპყრობილი იყო.

ჰოდა, მისი დროების ენის და ყოფის მიხედვით, ეს ლექსიკონი განმარტავს, რომ „ჯარი“ არაერთი მნიშვნელობის სიტყვაა და გახლავს: „მრავალ-კაცნი, მიჯრა- ჯარის შეტკეცა, ბრბო, გუნდი, მეფის ჯარი, ურდო, საჯარო.“ ანუ, რალაცნაირად, „მრავალ-კაცნი“, რაც ჩვენს ენაზე ბევრსაც გულისხმობს. ხოლო „ლაშქარი,“ არის „დიდი ჯარი სამტერო.“ რაც იმას ნიშავს, რომ სულხან-საბას დროებაში, როცა ომია, ჩვენ ლაშქარ ვართ. ბელადი სტალინი, ასევე, მგრძობიარეა ორიოდე სხვა ტერმინის მიმართაც, რომელთაგან მთავარია, „მსტოვარი.“



„მსტოვარ“-ს სტალინი „მზვერავი“-თ ცვლის და ცხადია, რომ ფიქრობს მისი დროების ტერმინზე - უნდა, რომ კონსტანტინეს წიგნებში იყოს სწორედ თანადროული სიტყვები.

რატომ?

იმიტომ რომ, ყველაფერი სხვა, ალბათ, ზედმეტ ფიქრებს აღძრავს. ზედმეტი ფიქრები კი სტალინის დროს კაცს აშკარად მიაქანებს 58-ე მუხლისკენ.


ისევ სულხან-საბას რომ მივმართოთ, „მსტოვარი ესე არს აეშაგი მომხილავი ქვეყნისა, გინა მტერთა ლაშქართა და ეგვევითართა უცნაურად“, ანუ ფარულადო. „ჭაშუში“ კი, „სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აეშაგი ჰქვიან.“

რაც შეეხება „მზვერავს“, ის ბევრად ახალგაზრდა, სწორედ მეოცე საუკუნეში დამკვიდრებულ სიტყვას ჰგავს.

ამ ასის წლის წინათ, იყო სწავლულ კაცთა კომისია, რომელიც დროის შესაფერ ქართულ ტერმინოლოგიას ქმნიდა: სამეცნიეროსაც და ყოფითსაც. საოცარი და რთული სამუშაოა, რომელიც ძველი სიტყვების ახალ დროზე მორგებასა და ახალთა მოგონებასაც გულისხმობს: „ვაგონი“- „რონოდი“, „ვედრო“-„სათლი“, „პალტო“-„გვაბანაკი“, „კავალერი“- „ჩოყლაყი“, „დესერტი“- „ჩაროზი“, „სასისკა“- „მოწონიკი“, „კრანი“- „კროჭი“, „სპირკა“- „ასანთი“, „რული“- „საჭე“, და ასე დაუსრულებლად - „შიგთავსი“, „შედეგი“, „წარმატება“, „ნაშთი“, „უმრავლესობა“, „გარსი“, „ქვემეხი“, „დანესებულება“, „ხელმძღვანელობა“ და უამრავი სხვა.

სიტყვები, რომელსაც არ წარმოვთქვამთ, რადგან ტერმინოლოგიის შექმნის კვალად, სწავლულ კაცთა ნაღვანს, დიდად არც მაშინდელი მწერლები და ჟურნალსიტები მიენდნენ.

სწავლულ კაცთა ნაშრომის სიტყვათა სრული უმრავლესობა დღეს, სამწუხაროდ, დავიწყებულია და ოდესღაც კი ანეკდოტების საგანიც იყო, თითქოს რუსული სიტყვა სჭობდა, თუნდაც გამოგონილ ქართულს.



მგონი, „მზვერავი“-ც მანდვე იყო, მაგრამ „მზვერავი“ გადარჩა და ახლაც მომაკვდავის იერით ცოცხლობს, სწორედ იმიტომ, რომ სტალინის დროების ერთი დიდი ამბავი სწორედ მზვერავობა იყო. ყველამ ვიცოდით, რომ საბჭოთა მზვერავი ჩვენი დიადი ქვეყნისთვის იღვწოდა. ჰოდა, ბელადისთვის, რაის მსტოვარი და მზირი და ასეთი დავინწყებული აეშავი? მზვერავი- Разведчик.


ერთი ქართული საბჭოთა ისტორიკოსთა სახუმარო შეკითხვა კი ასე უღერს: რატომ არის, რომ ჩვენს ქართულ საბჭოთა იდეოლოგიურ ტექსტებში საბჭოთა „მსტოვარ“-ს „მზვერავ“-ს ვუწოდებთ, ხოლო უცხოელ „მსტოვარ“-ს კი, „ჭაშუშ“-ო. ალბათ იმიტომ, რომ მზვერავი ისე პირქუშად არ უღერს ჩვენს ენაზე, როგორც ჭაშუშიო.

ჰოდა, „ჭაშუში“- ხომ „სხვათა ენაა“ და ეს კი არ იცის იმ იდეოლოგმა, რომელიც ასე ყოფს მსტოვრებს, მაგრამ როგორც ეუღერა, ისე მოასაბჭოთავა.

„მსტოვარი“ უბრალო სიტყვა არ არის ჩვენს ისტორიაში. დიადი ეპოქის აღმწერ მათიანეებში მსტოვარი სამეფოს უსაფრთხოების ერთ-ერთი მძლავრი ნაწილია. მეცნიერები ასეც მოიხსენებენ ხოლმე „დავითმა შექმნა მსტოვართა ინსტიტუტიო.“ თუ სტალინი კონსტანტინეს „დავით აღმაშენებელის“ მის სიცოცხლეში გამოცემულ ნაწილს კარგად კითხულობდა და ბოლოსიტყვაობის შტუდირებით არ შემოიფარგლა, ყველაფერს კარგად გაიგებდა.

ერთმანეთზე გადაჭაჭვულ და გამართულად მოქმედ სახელმწიფო უწყებათა აგებულებაში, რომელიც დავით აღმაშენებელმა შექმნა და რომელიც ისე მძლავრი იყო, რომ მრავალსაუკუნოვანი ძნელბედობის და დიადი სამეფოს ნახდენის მიუხედავად, ახალ დროებამდე მოიტანა სახელმწიფო კულტურა, მსტოვარი მნიშვნელოვანი ვინმეა. მათიანეში არის სიტყვები მსტოვართა საქმიანობის შესახებ დავითის შემდეგაც, საუკუნეთა განმავლობაში ეს სიტყვა კრთის ნაირგვარ ნაწერებში. „მსტოვარ“-ს ყოველთვის მეტ-ნაკლებად ერთი მნიშვნელობა აქვს. ასე იტყვი, თუ ისე, „მსტოვარი კაცნი“ არსებობენ.

დავით აღმაშენებელმა (1089-1125) ისეთი სახელმწიფო შექმნა, რომ მის ძალას დღემდე ვგრძნობთ. დაგვრჩა იქიდან ცოტა, მაგრამ სულ გვეხმარება. მგონი, ასეა. მას კი ბევრი დარჩა ვახტანგ გორგასლისგან. ეს ძლიერი მეხსიერებაა.



თუ სიტყვა „მსტოვარ“-ს „ვეფხისტყაოსნის“ შანიძისეულ ლექსიკონში ვერ იპოვნე, მხოლოდ იმიტომ, რომ შოთას ის არ დასჭირვებია. სიმონ პირველი კი თავად მსტოვრობდა, მტრის პოზიციებსაც ზვერაავდა ხოლმე და მათ ბანაკშიც შედიოდა გადაცემული. ამ ზვერვასაც შეეწირა.

„ლაშქარი“, „მსტოვარი“ და სხვაც ათასი, კონსტანტინე გამსახურდიამ რომ სამუდამოდ გააღვიძა ქართულ ენაში, ისეთი ტერმინებია, საუკუნოობით რომ არსებობდა, მეცხრამეტე საუკუნეში კი, რუსთა მოსვლის კვალად, თითქოს საბოლოოდ გაუქმდა. ამ დროს კი, ეს სახელმწიფოებრივი ტერმინებია და ნიშანი საქართველოს დიდი და უკიდურესად ძველი მმართველობითი კულტურისა.

აქ ჯერ გაგვახსენდება ვახტანგ გორგასალი, რომელმაც ააგო სახელმწიფო და მერე კი, ქართული ფეოდალიზმი. მისთვის საუკეთესო საუკუნეებში საუცხოო რამ, რომელმაც გვაჩუქა კიდევ „ვეფხისტყაოსანი“, არაფორმალური ქართული კონსტიტუცია შვიდასი წლის განმავლობაში.

